



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

**აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმის
განცხადება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე**

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები გამოვთქვამთ უკიდურეს შეშფოთებას აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის, აფგან მუხთარლის საექვო გაუჩინარებასთან დაკავშირებით. როგორც მისი იურისტი აცხადებს, ის თბილისში ქართულენოვანმა პირებმა დააკავეს და აზერბაიჯანის საზღვარზე უკანონოდ გადაიყვანეს. ამასთანავე, მას საგამოძიებო უწყებაში მიყვანის შემდეგ, ასევე საექვოდ, ჯიბეში აღმოაჩნდა 10 ათასი ევრო. გარდა ამისა, იურისტის თქმით, მას აღენიშნება ფიზიკური დაზიანებებიც. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აფგან მუხთარლს ბრალი საზღვრის უკანონო კვეთისთვის და კონტრაბანდის გადატანისთვის წაუყენა.

აფგან მუხთარლი უკვე ორი წელია თბილისში ცხოვრობს სწორედ იმიტომ, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განწყობის გამო მას ქვეყნის დატოვება მოუწია. მის მსგავსად, საქართველოს არაერთი ჟურნალისტი აფარებს თავს, რადგან აქვთ რწმენა, რომ მათი უფლებები აქ მაინც იქნება დაცული. სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი უსაფრთხოება.

სულ უფრო მეტ კითხვებს ბადებს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები. დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისთვის ისევ უცნობია და გაუგებარი რჩება, როგორ მოხვდა თბილისში „გაუჩინარებული“ ჟურნალისტი აზერბაიჯანის საგამოძიებო უწყებაში, როგორ გადაკვეთა მან საზღვარი მაშინ, როდესაც მისი პასპორტი საქართველოშია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმომწერი ორგანიზაციები კატეგორულად მოვითხოვთ შესაბამისი უწყებებისგან უსწრაფესად იქნეს გამოძიებული აფგან მუხთარლის საქმე და დაისაჯოს დამნაშავე. ამასთან, საზოგადოებას მიაწოდონ დეტალური განმარტებები. საქართველოს მთავრობამ კი მისცეს პოლიტიკური შეფასება მომხდარ ფაქტს. ამგვარი საქმეები შემაფერხებელია ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესისთვის, ვინაიდან ადამიანის უფლებების დაცვა მთავარი დასავლური ღირებულებაა, რომელიც დღეს, საქართველოში ექვექვემ დადგა! მოვუწოდებთ ხელისუფლებას გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, ნათელი მოჰფინოს აფგან მუხთარლის საქმეს და დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საქართველოში ცხოვრება უსაფრთხოა ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად მათი დამოკიდებულებისა სხვა ქვეყნის ხელისუფლებების მიმართ.

ხელმოწერი ორგანიზაციები:

1. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
2. ევროპული ინიციატივა- ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ევროპის ფონდი
4. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
5. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
6. ადამიანის უფლებათა სახლი
7. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
8. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
9. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
10. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
11. ადამიანის უფლებათა ცენტრი
12. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
13. ასოციაცია ტოლერანტი
14. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
15. ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის
16. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
17. "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი"
18. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
19. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
20. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო
21. ასოციაცია „მერკური“
22. ახალგაზრდული ალტერნატივა
23. სტუდია რე
24. ასოციაცია: „ჯანმრთელი ბავშვები“
25. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
26. განვითარების და ჩართულობის ცენტრი
27. ახალგაზრდული ასოციაცია დრონი
28. გორის საინფორმაციო ცენტრი
29. კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
30. ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
31. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
32. ასოციაცია სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
33. „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი
34. სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი
35. საზოგადოებრივი დამცველი
36. "საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
37. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
38. საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"
39. „ახალი თაობა - დემოკრატიული საქართველოსთვის"
40. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის

41. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
42. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის
43. თავისუფალი არჩევანი
44. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
45. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
46. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
47. რეპატრიანტთა კავშირი
48. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობი საზოგადოება
49. მეწარმე ქალთა ფონდი
50. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
51. განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი
52. საქართველოს პრესის ასოციაცია
53. სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
54. ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
55. „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“
56. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
57. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
58. ცენტრი "ემპათია"
59. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
60. „ციხის საერთაშორისო რეფორმა“
61. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
62. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
63. სამოქალაქო ფორუმი
64. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
65. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
66. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
67. საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
68. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
69. ასოციაცია „ათინათი“
70. ფონდი „ადგილის დედა“
71. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
72. კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
73. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
74. ენერგოეფექტურობის ფონდი
75. პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს კომიტეტი
76. პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
77. ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
78. ასოციაცია „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“
79. ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
80. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
81. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

82. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
83. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
84. ახალგაზრდული კავშირი ევროკლუბი
85. აფხაზეთი-ჩემი სახლი
86. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
87. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
88. ასოციაცია ტოლერანტი